ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №145

ქ.დმანისი **2023 წელი**

ერთის მხრივ, **დმანისის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში "შემსყიდველი") წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ბერდე" (შემდგომში "მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის კობა ჯღარკავას სახით, საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 აპრილის N762 და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულის N- გ.109.109230895 განკარგულების შესაბამისად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

1.2."ხელშეკრულების ღირებულება" - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", "კვირა", "თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. "შემსყიდველი" - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიზილქილისაში გარე განათების მოწყობის სამუშაო (CPV- კოდი 45300000; 45316100;)

2.2. შესასრულებელი სამუშაო მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 31870.08 (ოცდათერთმეტი ათას რვაასსამოცდაათი ლარი და 08 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. დაფინანსების წყარო: 19870.08 ლარი (62.35%) ადგილობრივი ბიუჯეტი; 12000 ლარი (37.65%) სახელმწიფო ბიუჯეტი (სოფ.პროგრამა).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

4.1.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული გაწეული სამუშაოს შესაბამისად, ეტაპობრივი მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

4.3.მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება 4.2 პუნქტის შესრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.4 ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით განსაზღვრული თანხის ანგარიშსწორება განხორციელდეს: სახელმწიფოს წილიდან (12000 ლარი) სრულად 100 %, ხოლო დანარჩენი ანაზღაურდეს ადგილობრივი ბიუჯეტიდან

მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შესყიდვის ობიექტის ან მისი ეტაპის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.3. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის ნაწილილობრივ (ეტაპობრივ) მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის წარმომამადგენელი კიზილქილისას ადმინისტრაციულ ერთეულში - ქამრან მამედოვი**

5.4. ანგარიშსწორება განხორციელდება, შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, მიმწოდებლის მიერ ამ მიზნებისთვის შერჩეული, სსიპ "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" ან/და შესაბამის სფეროებში აკრედიტებული პირის (ინსპექტირების ორგანოს) მიერ გაცემულ დადებითი დასკვნის შემსყიდველ ორგანიზაციასთან წარდგენის შემდეგ, (ინსპექტირების ხარჯებს გაიღებს მიმწოდებელი).

5.5. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით განხორციელებული სარემონტო (სარეაბილიტაციო) სამუშაოების მიღების მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის 16 დეკემბრის №108.1082135019 ბრძანებით შექმნილ კომისიასთან გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტით.

6. სამუშაოს შესრულების პირობები

6.1. სამუშოს შესრულების ვადაა ხელშეკულებაზე ხელმოწერის დღიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი ვალდებულია:

7.1.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.1.2.სამუშაოების შესრულების პროცესში საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

7.1.3.ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

7.1.4.წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს რაიმე დეფექტის ან ნაკლის აღმოჩენის შესახებ.

7.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

7.2.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

7.2.2 ხელი მოაწეროს სამუშაოების შესრულების აქტს.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია:

7.3.1.დროულად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

7.3.2.საამშენებლო ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს სამუშაოთა მაღალი ხარისხით შესრულება და მათი დამთავრება დადგენილ ვადებში;

7.3.3. სამუშაოების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.3.4. სამუშაოს განხორციელების პროცესში მის ჩაბარებამდე მოქმედი კანონმდებლობისა და ნორმების შესაბამისად მიიღოს აუცილებელი ზომები ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად.

7.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

7.4.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს **ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - მერის წარმომამადგენელი კკიზილქილისას ადმინისტრაციულ ერთეულში - ქამრან მამედოვი**

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული სამუშაოს ხარისხის კონტროლის პროცესს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

9.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი ვალდებულების 0.02%-ის ოდენობით.

9.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2. პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5. ამ მუხლის 9.2 და 9.3 პუნქტების საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს 10.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ ან მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველსა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11.4. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კონპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

13.1 შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადად განისაზღვროს საბოლოო მიღება - ჩაბარების აქტისგაფორმებიდან 2 (ორი) წელი.

13.2 სამუშაოების დასრულების შემდეგ საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული წუნი (ნაკლოვანებები, დეფექტი) გამოწვეულია უხარისხო ან/და არაჯეროვანი შესრულებით, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საკუთარი ხარჯებით არაუგვიანეს შემსყიდველი მოთხოვნიდან 10(ათი)კალენდარული დღის განმავლობაში.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებეისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების ვადზე.

15. სხვა პირობები

15.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

15.2. მიმწოდებელს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის შემდეგ.

16. რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
დმანისის მუნიციპალიტეტი მის.: ქ. დმანისი, წმ. ნინოს №41 საიდენტიფიკაცო კოდი: 228928391 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა TRSGE22 ერთიანი ანგარიში: GE24NB0330100200165022 ტელ.: 0(360) 22-11-53 ელ-ფოსტა: dmanisi.mun@gmail.com **დმანისის მუნიციპალიტეტის მერი** DMANISI MUNICIPALITY Digitally signed by DMANISI MUNICIPALITY Date: 2023.06.21 10:13:55 +04'00' _____ **კობა მურადაშვილი**	შპს „ბერდე“ ს/კ - 435432890 ტელ: +995551131177 მისამართი: მარტვილი, სოფ.ნაგვაზაო საბანკო რეკვიზიტები: სს“თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის ნომერი: GE93TB7090536080100006 **შპს „ბერდე“ -ს დირექტორი** Koba Jgarkava 29001006765 Digitally signed by Koba Jgarkava Date: 2023.06.21 12:52:49 _____ **კობა ჯღარკავა**

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ.დმანისი **2023 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ 2023 წლის №145ხელშეკრულებით განსაზღვრულ სახელმწიფო შესყიდვაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერი ----------**კობა მურადაშვილი**

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულიპირი - მერის წარმომამადგენელი კიზილქილისას ადმინისტრაციულ ერთეულში

Kamran Mamedov Digitally signed by Kamran Mamedov Date: 2023.06.27 11:53:26 +04'00'

---------- **ქამრან მამედოვი**